თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-72525-22
21 / 09 / 2022

შპს „სამეფო მშენებლობა“-ს დირექტორს
ბატონ მირიან გაბაიძეს

ბატონო მირიან,

თქვენი მიმდინარე წლის 7 სექტემბრის №02-13-72525-22 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.06.006.036) სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით გაზსადენის (№01.00.042) შესახებ ინფორმაციის მოწოდებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე გადის მოქმედი საჰაერო D=100 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენი, რომელსაც ოპერირებას და ექსპლუატაციას უწევს შპს „თბილისი ენერჯი“ (იხ. სქემატური ნახაზი).

მშენებლობის ნებართვის მოპოვებამდე აუცილებელია ქსელის ექსპლუატაციის ზონა დაიტვირთოს სერვიტუტით ნაკვეთზე მდებარე მილსადენის ღერძიდან ორივე მხარეს 1 (ერთი) მეტრის მანძილზე, რათა უსაფრთხო და უწყვეტ რეჟიმში განხორციელდეს როგორც გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი, ასევე ექსპლუატაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა მოგვმართოთ შესაბამისი განაცხადით.

დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთს ასევე კვეთს მიწისქვეშა D=50 მმ-იანი საშუალო წნევის მილსადენი და საჰაერო D=32 მმ-იანი და D=20 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენები, რომელიც ბუნებრივი გაზით ამარაგებს ამავე საკადასტრო ერთეულში მოქცეულ შენობებს. აბონენტების მომართვის შემთხვევაში კომპანია უსაფრთხოების მიზნით უზრუნველყოფს ქსელის დროებით დემონტაჟს.

წარმოგიდგენთ ტერიტორიაზე გაზსადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი:-1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:500
D= 160PE
D= 100
D=50
D=32
D=20
01.14.06.006.036
ჩ
დ
ა
ს
პირობითი აღნიშვნები
მიწისქვეშა გაზსადენი
მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.06.006.036
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

ბრძანება:**ბ01.012228020**

თარიღი:**07/10/2022**

ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.036) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 71%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

,

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16^1 და 22-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01222722231-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.036) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 71%-ის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, არანაკლებ 50 კვ.მ.-სა“.

4. დაინტერესებულ პირს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით წარუდგინოს შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი“

5. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01222722231-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ

დასკვნასთან ერთად.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

8. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი